




ცნობილი კინოვარსკვლავი ორნელა მუტი უკმაყოფილოა: „მამაკაცებს ჰგონიათ, რომ ინტიმი ქალისათვის საჭირო არ არის. ეს სიცრუეა! ეს სფერო უკიდურესად აუცილებელია ჩვენთვის, რადგან მას სიმშვიდე და სილამაზე მოაქვს". რა მაცდურობანი იმალება ამ აღსარებაში? — იხილეთ მე-2 გვ.




ფასი 30 თეთრი

... შემდეგი ნომერი გამოვა 7 ივნისს ...

# ფანტაზია

№ 18 (44)

27 მაისი, 1997 წელი | ი/ს „ფანტაზიის" ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი. | 1997 წელი





## კროს-ლოტო „მალულა"
(პრიზი — 10 ლარი)

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 2 | | 3 | | | | 4 | | 5 | |
| 6 | ე | | ი | | მ | | | 7 | ა | | თ | |
| | | | | | | | 8 | | | | | |
| 9 | ი | | ტ | | | 10 | ე | | რ | | ნ | |
| | | | | | 11 | | | | | | | |
| 12 | ე | | ტ | | ნ | | ი | | | 13 | თ | |
| | | | | | | | | | 14 | | | |
| | | 15 | ნ | | რ | | ი | | ლ | | | |
| | 16 | | | | | | | | | | 17 | |
| 18 | რ | | | 19 | პ | | ვ | | კ | | ვ | |
| | | | 20 | | | | | | | | | |
| 21 | რ | | ა | | ვ | | ლ | | | 22 | ლ | |
| | | | | | | | | | | | | |

**შეეცადეთ აღადგინოთ სიტყვები გადაკვეთებზე ჩაწერილი ასოებისა და მცირეოდენი მინიშნების საშუალებით (დაგისახელებთ მხოლოდ მოცემული სიტყვის ზოგად სფეროს)**

1. ასტრონომია; 2. მედიკამენტი; 3. ოჯახი; 4 პოეზია; 5. ოპტიკა; 6. აირები; 7. მეტალურგია; 8. თსუ; 9. მათემატიკა; 10. მუსიკა; 11. სსრკ; 12. ხატოვანი აზროვნება; 13. რელიეფი; 14. პოეზია; 15. აქტიური (როგორი?); 16. ესტრადა; 17. გეომეტრია; 18. სპორტი; 19. ვირტუოზობა; 20. ბიზნესი; 21. მსაჯობა; 22. კავშირგაბმულობა.

**ის, ვინც შეავსებს კროსვორდს და გამოიცნობს „მალულას" პერსონაჟს, მიიღებს 10 ლარს. პასუხები მიიღება 2 ივნისის ჩათვლით.**

## შვილი — მკვდარი ქმრისაგან

„ჩვენი ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი — ამბობს სანდრა რიდი — დენიმ ჯერ კიდევ ორი წლის წინ შემომთავაზა ცოლად გავყოლოდი, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ ქორწინებამდე ყველაფერი მოგვემზადებინა — ლონდონში სახლი ვიყიდეთ, მოვაწყეთ საბავშვო ოთახი, მერე კი ვიქორწინეთ...

მაგრამ თაფლობის თვის პირველივე საღამო კატასტროფით დასრულდა; ისინი სასტუმროს ნომერში იყვნენ, როცა დენი რიდი, 26 წლის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არასოდეს უავადმყოფია, უცებ ცუდად შეიქმნა, თავზე იტაცა ხელი და დაბლა დაეცა. გამოიძახეს „სასწრაფო", სანდრას კლინიკაში აუხსნეს, რომ მის ქმარს ტვინის არტერიაში სისხლი შეუდედა, რომ ველარაფერს გააკეთებდნენ, რადგან არანაირი იმედი აღარ იყო. ექიმები თვლიდნენ, რომ საჭირო იყო ხელოვნური სუნთქვის აპარატის გათიშვა, მაგრამ სანდრა კატეგორიული წინააღმდეგი იყო ამის: „ის ჩემი ქმარი იქნება, თუნდაც სრულიად დაკარგოს სიცოცხლის ნიშან-წყალი"... დენი რიდი ისე მოკვდა, რომ კომიდან არც გამოსულა. სანდრა საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა, მის სასოწარკვეთას საზღვარი არ ჰქონდა. ყოველივე ამას თანაგრძნობით უცქერდა ერთი მედდა, რომელმაც იცოდა, რომ სანდრას ოცნება ბავშვის ყოლა იყო. ამ მედდამ უიმედოდ დარჩენილ ქალს უთხრა, რომ მართალია, ქმარს ველარაფერს უშველიდა, მაგრამ არსებობს საშუალება მისგან ბავშვის გაჩენისა და ურჩია მიემართა ერთი ამერიკელი სპეციალისტისათვის, რომელიც ხელოვნურ განაყოფიერებაში დიდად იყო დახელოვნებული. „მე ისეთი ტკივილი და უსასოობა ვნახე ამ ქალის თვალებში, რომ გადავწყვიტე დავხმარებოდი მას" — ამბობს დოქტორი მარკ ჯუთრასი. გარდაცვლილი დენი რიდის სხეულიდან ამოღებულ იქნა სპერმატოზოიდები, რომელიც ექვსი თვით გაყინეს. დოქტორმა ჯუთრასმა სანდრას ეს ექვსი თვე ყველაფრის ასაწონ-დასაწონად და გასააზრებლად დაუთქვა, ვიდრე იგი 12 ათას დოლარად ღირებულ ხელოვნურ განაყოფიერებაზე დათანხმდებოდა. სანდრა არც დაფიქრებულა და ისე განაცხადა თავისი დასტური და ოპერაციაც ჩატარდა, თუმცა აქ ერთი სხვა, საკანონმდებლო კურიოზიცაა საყურადღებო: აღნიშნული ოპერაციის ამერიკაში ჩატარება იმანაც განაპირობა, რომ დიდი ბრიტანეთის კანონებით ხელოვნური განაყოფიერება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს „სპერმის დონორის წერილობით თანხმობა" მისი კუთვნილი მასალის გამოყენების შესახებ.

„ნისლიანი ალბიონის" კანონმდებლობამ სანდრასთან მიმართებაში არანაირი გამონაკლისი არ დაუშვა და აღნიშნული წერილობითი დოკუმენტი მოსთხოვა ქალს, რომელიც ვერაფრით დააწერინებდა ქმარს ამ დოკუმენტს... გასაგები მიზეზები გამო.




## ნომრის ანეკდოტი



აბრამი ბრუნდება სახლში და ხედავს, რომ საბნის ქვეშიდან მამაკაცის შიშველი ფეხები მოჩანს.

„რა არის ეს" — ყვირის აღშფოთებული აბრამი

„აბრამ, დაგენაცვლე — წყნარად პასუხობს ხასა — ნუთუ შენ გგონია, რომ ჩვენ შენი ხელფასით ვცხოვრობთ?!"

„მერე-და ხომ ხედავ შიშველი ფეხები უჩანს; საბანი მიაფარე, არ გაცივდეს!"

გთავაზობთ კლაუდია შიფერის კვების რეჟიმსა და შემადგენლობას (უკომენტაროდ)

კლაუდია დღეში იღებს არაუმეტეს 1900 კალორიისა.

საუზმე — ერთი ჭიკა ფორთოხლის წვენი და რაიმე ხილის ერთი ერთეული (ნაჭერი), ვთქვათ დაბალკალორიული მანგო, ვაშლი, ატამი ან ნესვი.

სადილი — ქათმის „თეთრი" ხორცი, ერთი ცალი მოხარშული კვერცხი და მწვანე სალათა.

სამხარი — ნაირგვარი ვიტამინების დიდი დოზა, სამკურნალო ბალახების ნახარში და ერთი ჭიქა პამიდვრის ან ყურძნის წვენი.

ვახშამი — მცირეოდენი ბოსტნეული და ისევ მწვანე სალათა.

... არავითარი ყავა და რძის ნაწარმი!

(დასასრული მესამე გვერდზე)

# დიდებული ორნელა მუტი

*იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგონა იტალიაში, სახელად — ფრანჩესკა რიველი. იგი ერთ პატიოსან ოჯახში დაიბადა: მამამისი — ფრანჩესკი — ჟურნალისტი გახლდათ, დედამისი კი იყო უბრალოდ დედა, რომელიც ქალიშვილის აღზრდით, ოჯახის მეურნეობითა და საკუთარი თავით იყო დაკავებული.*

*ფრანჩესკა სწავლობდა სკოლაში და სამეჯლისო ცეკვების გაკვეთილებსაც იღებდა, იყო დამჯერი, მორიდებული და უთქმელი ბავშვი. 14 წლის რომ შესრულდა, იგი მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კინორეჟისორმა დამიანო დამიანიმ კინოში გადასაღებად მიიწვია და ფილმში — „ყველაზე ლამაზი ქალი" — მთავარი როლი შესთავაზა. ეს ფილმი ერთ სიცილიელ ყმაწვილ ქალზე მოგვითხრობს, რომელიც გაიტაცეს და გააუპატიურეს, ხოლო როცა მოძალადეზე მითხოვება შესთავაზეს „სირცხვილის ჩამოსარეცხად", ამ გოგონამ უარი განაცხადა.*

*დამიანო დამიანის დიდი მუშაობის ჩატარება დასჭირდა, რათა ფრანჩესკასათვის სამსახიობო ხელოვნების ანბანი ესწავლებინა. ამავე რეჟისორმა შეუთხზა მომავალ კინოვარსკვლავს ეს მშვენიერი ფსევდონიმიც — ორნელა მუტი.*

ორნელა მუტის პირველ ფილმს უზარმაზარი წარმატება ხვდა და ასე განათდა მსოფლიო კინოტატნობზე ახალი ვარსკვლავი, მოკრძალებული ფრანჩესკას ცხოვრებაში კი დასრულდა ის „თავი", რასაც ბავშვობა ჰქვია. მეორე „თავი" კი — ყმაწვილქალობა — ძალზედ ბობოქარი აღმოჩნდა. ყოველი მხრიდან წამოვიდა მოწვევები ნაირგვარი რეჟისორებისაგან და ძირითადი მათგანი დაბალი დონის ან პორნოფილმების საქმოსანთაგან იყო გამოგზავნილი. ამ კინობაცაცებმა კმაყოფილებით დაიწყეს ორნელას „ხელთუქმნელი ნატურის" ექსპლუატირება; იგი მართლაც დიდებული რამ იყო — თავისი ვეება მწვანე თვალებით, ნაქანდაკარგი სხეულით და კარგად განვითარებული მკერდით.

აღნიშნეული ფილმების „სპეციფიკა" იყო ამაში დამნაშავე თუ სხვა რამ, ვერავინ იტყვის, ის კი ფაქტია, რომ ცხრამეტი წლის ასაკში ორნელა უცებ დაფეხმძიმდა და შობა კიდევაც. ამ ბავშვის მამის ვინაობას ორნელა დღესაც არ ამხელს; ამბობენ, რომ ეს ერთი ახალგაზრდა ესპანელი მხატვარი იყო, რომელთანაც ორნელას ვნებიანი რომანი ჰქონდა და რომელმაც კინოვარსკვლავს აბორტის გაკეთება შესთავაზა, მაგრამ თანხმობა არ მიიღო. ასეა თუ ისე, იშვა გოგონა, რომელსაც იტალიელისათვის უცნაური სახელი ნაიკი უწოდეს. მარტოხელა დედის როლში ორნელას დიდხანს არ მოუწია ყოფნა, იგი ძალზედ მალე გაჰყვა მსახიობ ოლესიო ორანოს, რომელსაც ასევე მალე დაშორდა. პირადი ცხოვრების გაუკულმართების კომპენსაციის ნიშნად ორნელა ელვის სისწრაფით ადიოდა მსოფლიო აღიარებისაკენ მიმავალ კიბეზე. ამ დროის ფილმთაგან ყველაზე მეტი ყურადღება დაიმსახურა მარიო მონიჩელოს ფილმმა — „სახალხო რომანი" — და ასეთი საგაზეთო წერილიც გაჩნდა სათაურით — „დაიბადა ახალი სოფი ლორენი".

ორნელას სიმდიდრემ, დიდებულებამ და სახელმა მის ირგვლივ ნაცადი და დახელოვნებული „პლეიბოების" მთელი გუნდი შემოკრიბა, მაგრამ ამ ქალბატონმა ყველასათვის უცნობი საბირჟო აგენტი ფედერიკო ფაკინეტი შეიყვარა, რომელიც მასზე 12 წლით უფროსი იყო. ერთი ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რად ირჩია ორნელამ ეს ბიზნესმენი, როცა მისი სიყვარულის

# ჭირვეულთა მორჯულება — ვნებით

დამსახურებას პრინცები და ულამაზესი მსახიობები ცდილობდნენ, ორნელამ უპასუხა — ***„მაგიდასთან რომ ვსხედვართ, ფედერიკოს არასოდეს ავიწყდება ჩემი ჭიქის შევსება".***

ფილმი ფილმს მოსდევს, ქვეყანა ქვეყანას, რეჟისორი რეჟისორს და ბოლოს ორნელა ადრიანო ჩელენტანომ მიიწვია ფილმზე „ჭირვეულის მორჯულება". ამ ფილმს გაუგონარი წარმატება მოჰყვა, პირად ცხოვრებაში კი პირველი „ღალატი" დაფიქსირდა, რადგან ორნელას ეს მაცდური ადრიანო შეუყვარდა და საერთოდ გადაავიწყდა იმ საბირჟო აგენტის არსებობა, თუმცა ამ „შოკიდან" მალე გამოერკვა და „აგენტმაც" დიდსულოვნად აპატია; თუმცა, როგორც გაირკვა, იმიტომ აპატია, რომ თავადაც ღალატობდა ორნელას მარცხნივ თუ მარჯვნივ, ხოლო მისმა ერთმა საყვარელმა, 50 წლის სინიორამ, გაზეთში ისიც კი დაწერა, რომ ფაკინეტი ინტიმის ვირტუოზია და დღისითმზისითაც კი, ხალხმრავალ ქუჩაში შეუძლია „სასიყვარულო აქტი" ისე აღასრულოს, რომ არანაირი უხერხულობის გრძნობა არ შეიმჩნიოს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, საწყენი იყო ორნელასთვის, მაგრამ აქ მას ერთხელ კიდევ უშველა სამსახიობო ფორტუნამ, რადგან იგი ჰოლივუდში მიიწვიეს ახალ ფილმზე, კლაუს კინსკისთან ერთად. ამერიკაში იტალიელი მზეთუნახავი ისეთივე მიზნით წავიდა, როგორც ამას ესპანელი კონკისტადორები აკეთებდნენ: *„ჩემი ჯერი დადგა — თქვა ორნელამ — მე ჰოლივუდი უნდა დავიპყრო! ხომ შეძლო ეს გრეტა გარბომ?! მაშ, მე რით ვარ მასზე ნაკლები?! მე ხელთ ყველა კოზირი მიპყრია!"*

იგი ლოს-ანჯელესში მარტო ჩავიდა. იტალიაში დარჩნენ „ძვირფასი" ფედერიკო, მსახიობის დედა და პატარა ნაიკი. ჰოლივუდში მას საინტერესო სამუშაო დახვდა, თუმცა ჯაფაც დიდი დაადგა: იგი გამთენიის ხუთ საათზე იღვიძებდა, ექვს საათზე გადაღებას იწყებდა და 12-13 საათის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ ძალაგამოცლილი ბრუნდებოდა სახლში. ორნელა კვლავაც დარწმუნდა, რომ წარმატებას დიდი შრომა სჭირდება.

იტალიაში დაბრუნებამ ორნელას დიდი პრობლემები დაახვედრა: მისი ქმარი, რომელსაც პრესა „სინიორ მუტის" უწოდებდა, გარდა მუსუსობისა, უიღბლო და უჭკუო ბიზნესმენიც აღმოჩნდა. რამოდენიმე სარისკო ოპერაციის შემდეგ ფედერიკოს საპატიმროში მოხვედრა ემუქრებოდა და ამიტომაც გაიპარა იგი ესპანეთში, სადაც ორნელაც თან გაიყოლა, თუმცა წასვლამდე ორნელას ორი მილიონი დოლარის ვალის გადახდა მოუხდა, რომლის გამფლანგავი მისი ძვირფასი ფედერიკო გახლდათ. „ბედნიერი წყვილი" ექვსი წლის ემიგრაციის შემდეგ დაბრუნდა იტალიაში და ამ ხნის განმავლობაში მათ ის მოახერხეს, რომ ორი შვილი აჩუქეს ერთმანეთს: გოგონა — კაროლინა და ბიჭი — ანდრეა.

ფედერიკომ მეწარმეობას მიჰყო ხელი, ამჯერად მეუღლის ნებართვის გარეშე ორნელას სახელით 200 ათას დოლარიან კონტრაქტს მოაწერა ხელი... და ისევ „ჩაიწვა".

ჩვიდმეტწლიან ერთობლივ ცხოვრებას ბოლო მოეღო. ერთხელ ორნელას უთქვამს: ***„მე ძალზედ მომთხოვნი ვარ მამაკაცების მიმართ, მაგრამ თავადაც ბევრს ვაძლევ მათ"***, თუმცა ამჯერად ეს „ფორმულა" არ ამუშავდა, რადგან ორნელას მოთმინების ფიალა აივსო... ორნელა ძალზედ დამაჯერებლად მოიქცა, მან აიყვანა ბავშვები, მიატოვა ნაფუფუნები ვილა და დედამისის მოკრძალებულ ბინაში გადასახლდა. ამბობენ, რომ ეს განქორწინება ორნელასათვის ძალზედ დამღლელი და სანერვიულო აღმოჩნდა. ამ დროს მას იღებენ ფილმში „დიადი ფაუსტი", რომელიც ცნობილ იტალიელ მრბოლელს ფაუსტო კოპის ეხებოდა და ორნელას პარტნიორი მსახიობი კასტელიტო იყო,



რომელსაც მცირე ხნის წინ ჰქონდა ჩადგმული ხელოვნური კბილები. ორნელას მაშინ თვალის დასანახავად ეჯავრებოდა მამაკაცთა მოდგმა და საბრალო კასტელიტოს ისეთი ძალით გაარტყა სახეში ხელი, რომ მას ერთიანად გადმოსცვივდა ხელოვნური და ბუნებრივი კბილი...

თუმცა დრო ყველაფრის მკურნალია, — მით უმეტეს მაშინ, როცა ბედნიერი შემთხვევაც თან სდევს მას.

იმ პერიოდში ორნელა საფრანგეთში მიიწვიეს და აქ მან თავისზე 11 წლით უმცროსი კაცი, ელეგანტური ფრანსუა გაიცნო. ცხოვრებამ ისევ შეასრულა მკვეთრი ვირაჟი და ორნელას კვლავაც ეწვია სიყვარული და თანაც — სერიოზული!

მოვუსმინოთ ორნელას:

*„მე ჩემი სხეული მიყვარს, მე მომწონს ჩემი თვალები, მკერდი, ბაგეები და ენა, რომლითაც, საჭიროებისამებრ, შესანიშნავად ვსარგებლობ. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი მაშინ, როცა ესპანელმა ვისენტე არამანდამ მიმიწვია ფილმში „ორენოვანი საყვარელი". აქ მე ისიც გავიგე, რომ თურმე ჩემი სხეულის უკანა ნაწილსაც სიგიჟემდე მიჰყავს მამაკაცები. ამბობენ, რომ ამ ფილმმა ქალური „პორნოს" ყველაზე კარგი მცოდნეებიც კი აღაფრთოვანა, როცა ჩემი გმირი ვნებისაგან თრთის და გაიძახის: „ჩქარა, ჩქარა, წამიყვანე და ამავსე შენი ძალით!"*

*ამ ფილმმა მე დიდი „ინტიმური" გამოცდილება შემძინა. მე შურითაც კი აღვივსე ჩემი გმირისადმი, რომელსაც სირცხვილისა და შიშის გარეშე შეუძლია დაემორჩილოს თავის ინსტიქტებს და ნებისმიერ მამაკაცს უთხრას — „აი, მე შენს წინაშე ვდგავარ, მე შენთან ყოფნა მინდა, ჩქარა წამიყვანე!".*

**ინტიმის შესახებ:**

— იმ მამაკაცთაგან, რომლებთანაც მე ინტიმი მაკავშირებდა, რამდენს შეეძლო ამის კეთება ხალისით, ფანტაზიით და იმის გააზრებით, რომ სიამოვნებას ვსაჭიროებდი პირველ რიგში მე და არა იგი? თუ ამ ციფრს პროცენტულად გამოვსახავთ, ვაი, რომ რაღაც ნოლი მთელი და რამოდენიმე მეათედი მიიღება. მამაკაცებს ჰგონიათ, რომ, მათგან განსხვავებით, ჩვენ, ქალებს, ინტიმი არ გვჭირდება და რომ ქალს ეს „აქტი" სჭირდება მხოლოდ მაშინ, როცა უყვარს. ეს ტყუილია!

ნორმალურ ქალს შეუძლია გაიჩინოს პარტნიორი ყოველთვის, როცა მას ეს უნდა, რადგან სექსი ქალისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რათა მან სიმშვიდე და სილამაზე შეინარჩუნოს.

**საქმის შესახებ:**

ფული, სამუშაო და წარმატება დღეს თუ არის, ხვალ, შესაძლოა, აღარ იყოს. ყველაფერი მთავრდება და ერთ მშვენიერ დღეს ნაგავად იქცევა. საშინელებაა ეს, მაგრამ ფაქტია! ყველა ვიცნობთ იმ შესანიშნავ მსახიობ ქალებს, რომლებმაც, ახალგაზრდობისა და სილამაზის დაკარგვის შემდეგ, ყველაფერი დაკარგეს. სანამ მსახიობი მშვენიერი და მიმზიდველია, სანამ მისი სხეული ვნებას აღძრავს, იგი წარმატების მწვერვალზეა და მერე? — ნაგავში?! მე მგონი, ჩემი ცხოვრებაც და ვნებიანობაც ასეთივე დასასრულს ელის და ეგებ უარესსაც.

მე ყველა მკიცხავს იმის გამო, რომ ამერიკაში მოდას ავყევი და „პლეიბოიში" შიშველი მკერდით გამოვჩნდი, თუმცა კი ლოტოსის ყვავილებით ვიყავი შებურვილი. სანამ იქ ვიყავი, ყველა ჩემს ფოტოებს აქვეყნებდა, საიდანღაც ქექავდნენ ძველ, უსახურ კადრებს და ბეჭდავდნენ. ამან მე ძალზედ გამაბრაზა და ვთქვი— ახლა გაჩვენებთ, როგორიც ვარ!... და ვაჩვენე! თუმცა ახლა ვნანობ ამას.

**რელიგიის შესახებ:**

მე ხშირად ვვარდები გადამეტებული აღგზნების მდგომარეობაში და ამას თავს ვაღწევ მედიტაციის წყალობით. მე სულიერი მამაც მყავს — ამერიკელი ზანგი, რომელიც ძალზედ მეხმარება. გარდა ამისა იოგას ვეუფლები და მჯერა სულების გადასახლების.

**ბავშვების შესახებ:**

ბავშვებთან ურთიერთობა არც ისე ადვილია, თუმცა აქ ყოველთვის ვახერხებ თავის შეკავებას. როცა ნაიკი ინგლისში გაემგზავრა სასწავლებლად, მე ადგილს ვერ ვნახულობდი; მერე მივხვდი: მართალია, დაბადებისას დედა-შვილის დამაკავშირებელ ჭიპს ჭრიან, მაგრამ ფიზიკური კავშირი მაინც განაგრძობს არსებობას, რომ აღარაფერი ვთქვათ სულიერზე, რასაც დროის მსვლელობა უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

**ახალი სიყვარულის შესახებ:**

მე ავარჩიე ახალი სიყვარული ჩემზედ უმცროსი კაცის სახით იმიტომ, რომ ახლა სხვაგვარად ვუყურებ ცხოვრებას. რა ვნახე მასში? არაფერი, უბრალოდ აღარაფრის პრეტენზია არ გამაჩნია და ვკმაყოფილდები იმით, რასაც იგი მაძლევს. ჩემი ყველა ადრინდელი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან მე ძალზედ ბევრს მოვითხოვდი მამაკაცისაგან. ახლა მე ბედნიერი და კმაყოფილი ვარ... მართალია, ჩვენს შორის 11 წლიანი ინტერვალი რაღაც პრობლემებს ქმნის, მაგრამ ყოველივე ეს მავიწყდება, როცა ვაცნობიერებ ერთ სურვილს, რომ მე მისგან შვილის ყოლა მსურს... თუ მან ვინმე პატარა გოგონაში გამცვალა და მიმატოვა, მე რა თქმა უნდა, ცოტას ვიტირებ და დავწყნარდები, რადგან ასეთი ყოფილა ჩემი ბედი...

გაზეთი „ Частная жизнь"



## შერონ სტოუნი 100 000 დოლარს ჩამოდის გათხოვებისათვის

განიცადა რა მორიგი კრახი სატრფიალო ასპარეზზე, 39 წლის შერონ სტოუნმა გადაწყვიტა ყოველმიზეზგარეშე გათხოვდეს ორმოცი წლის ასაკამდე. იმისათვის, რომ ეს ძნელად აღსასრულებელი გეგმა განახორციელოს, მსახიობმა დახმარებისათვის პროფესიონალებს მიმართა. სტოუნი აპირებს ერთი ევროპელი მაჭანკლის მომსახურებით ისარგებლოს, ეს მაჭანკალი კი სწორედ რომ მსოფლიოს ელიტის სფეროშია დახელოვნებული. ამ სარისკო საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, შერონი მზად არის 100 000 დოლარს გამოეთხოვოს. როგორც კინოვარსკვლავთან დაახლოებული „წყაროები" ამტკიცებენ, შერონი ეძებს მდიდარ ბიზნესმენს, რომელიც გართობის ბიზნესთან არ იქნება დაკავშირებული; უპირატესობა კი მიენიჭება სამეფო ოჯახის წარმომადგენელს.

## შვარცენეგერი გაჭრეს

49 წლის არნოლდ შვარცენეგერი ზაფხულს, ალბათ, საავადმყოფოში შეხვდება. ახლახანს მას დიდი აურზაურის გარეშე ჩაუტარდა გულის ხუთსაათიანი ოპერაცია. ზუსტი დიაგნოზი ცნობილი არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავს აორტის სარქველის დეფექტი აქვს. ჰამბურგელი ექიმი ჰაინც კუკი თვლის, რომ შვარცენეგერს დაბადებიდან აქვს ამგვარი დეფექტი, რაც მის ორგანიზმში სისხლის მიმოქცევის პროცესს აძნელებს და ყოველ წუთს შეიძლება საერთოდ შეწყვეტილიყო. კარდიოლოგებმა დეფექტური სარქველი ხელოვნურით შეცვალეს.

მიუხედავად ჩატარებული ოპერაციის მთელი სირთულისა, მსახიობ-ათლეტის თაყვანისმცემლებს შეუძლიათ დაიჯერონ, რომ არნოლდის კარდიოლოგიური პრობლემები ანაბოლური სტეროიდებისა და სხვაგვარი დოპინგის გამოყენებასთან არაა დაკავშირებული. თავად არნოლდი ამბობს, რომ ამგვარი პრეპარატები ბოროტად არასოდეს გამოუყენებია.






# სიყვარულის ფილოსოფია „კასანდრას" ფონზე

ჯერ ჩვენი ტელეეკრანის ვენესუელელი ქალბატონის მიჯნურთა შესახებ ვთქვათ ორიოდ სიტყვა. რაც არ უნდა პრიმიტიულად და სწორხაზოვნად ვითარდებოდეს წლევანდელი ტელესერიალის სიუჟეტი და მხატვრული გარემო, ამ უსაშველოდ გაწელილ ფილმში, რაღაც საინტერესო ფაქტების აღმოჩენა მაინც შეიძლება მით უმეტეს, რომ თითქმის ყოველი ასეთი ფაქტი მრავალრიცხოვანი მაყურებლის პირადი ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდის ანალოგიურად ვითარდება. კორაიმა ტორესის გმირი ბევრ მამაკაცს უმღვრევს გონებას. ჩვენ უკვე ვიცნობთ ერთ-ერთ ტყუპისცალს, ცირკში დანების მსროლელს, ამავე ცირკის კლოუნსა და გონიერ ადვოკატს. ყოველ მათგანს თავისებურად უყვარდა ძალად ბოშა-ქალი და, მიუხედავად გრძნობათა ერთფეროვნებისა, მათი „ვნების" სიმართლეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. სულ მალე ჩვენ გავიცნობთ კასანდრას ახალ მიჯნურს, მომღერალ ხუან რამონს, რომელიც, ალბათ, ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწევს კასანდრას პარალელურ სიყვარულთა შორის და იქამდეც კი მივა, რომ ამ ყველას საყვარელ ქალს სულიერადაც დაეუფლება და ფიზიკურადაც; მართალია, ეს კაცი, თავადვე უარყოფს კასანდრას და მას თვალთმაქცობაში დასდებს ბრალს, მაგრამ მის გრძნობათა გულწრფელობაშიც დარწმუნდება მაყურებელი და, როგორც ჩანს, მიჯნურთა „თანავარსკვლავედს" შორის ყველაზე ღირსეულ ადგილს მიაკუთვნებს. მაყურებელს ჯერ კიდევ ელის ახალი სატრფიალო იტნრიგით თავის შექცევა და იმაში დარწმუნება, რომ ქალმა შეიძლება მხოლოდ ნიჭიერების გამო შეიყვაროს მამაკაცი... თუმცა აქვე ვშიშობ, რომ მტყუანი აღმოვჩნდები, რადგან კასანდრას მსგავსი ქალების გრძნობათა სიწრფელეში დარწმუნება ერთობ სარისკო რამ არის.

ეს ჩვენი საჭვრეტ-სამზირალი ქალბატონი იმ მანონ ლესკოებისა და კარმენების ის თანამედროვე მემკვიდრეა, რომელთა შესახებ შეიძლება ითქვას ერთი რამ:

ქალს უყვარს ის, ვინც იმორჩილებს მას...

... ზოგიერთ ქალს კი ასეთი დამმორჩილებელი, შესაძლოა, ხშირად და მრავლად ჰყავდეს.

და ეს ცხოვრებისეული ლოგიკაცაა და ჭეშმარიტებაც, რის გაცნობიერება ძალზედ ჭირს ნაყვარებნალალატები მამაკაცისთვის.

თქვენ მალე იმასაც ნახავთ, თუ რა სწრაფად გადაინაცვლებს ფილმის მთავარი გმირის სიმპატია ნიჭიერი მომღერლის შემდეგ გონიერი ადვოკატისაკენ, რომელიც სასამართლო პროცესზე ღირსეულად დაიცავს (და დაიმორჩილებს!) კასანდრას.

ფილმის შემქმნელები ზედმეტი აქტიურობით ცდილობენ იმის მტკიცებას, რომ კასანდრა „არაფერ შუაშია", რომ იგი მხოლოდ მეგობრული თვისებების გამოისობით ულიმის (და ხიბლავს) ყველას, მაგრამ ეჭვით მომზირალი მაყურებლისათვის ცხადზე ცხადია, რომ ამ ქალბატონის მიზანი, როგორც ყველა კარმენისა და მანონ ლესკოსი, ერთადერთია:

დაემორჩილოს, რათა დაიმორჩილოს (და გაერთოს!)

ვინმე იტყვის, შე კაი კაცო, თუ ამდენი „ფილოსოფიის" გადმოფრქვევა გინდოდა, ბარემ მადამ ბოვარზე ან ანა კარენინაზე გეწერაო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ „კასანდრას" მსგავს ფილმებს უფრო სჭირდებათ ოდნავ შეფილოსოფოსებული მსჯელობანი, ვიდრე კლასიკურ ნაწარმოებთა პერსონაჟებს, რადგან... რადგან და რადგან!!!

ამ მომავალი ახალი მიჯნურის, ხუან რამონის, გამოჩენამ ერთი ამბავი გამახსენა, რომელიც კარგა ხნის წინ ერთ თბილისურ ორგანიზაციაში მიმდინარეობდა და სულ ახლახანს მცირეოდენი გაელვებით განახლდა და მალევე ჩაკვდა. რამონი ისეთივე გამორჩეულია კასანდრას მიჯნურთა შორის, როგორიც ამ თბილისური ამბის ერთი მონაწილე გახლავთ ჩემი მეგობრის სახით! ეს მეგობარი კი ისევე მემასლაათება ხოლმე, როგორც ლუის დავიდი ცლის ჰექტორთან დარდებისა და ეჭვების გუდას.

ჩემი მეგობარის მტკიცებით იმ ორგანიზაციაში, სადაც იგი მუშაობდა, იყო ერთი ქალი, რომელიც, კასანდრასა თუ მექსიკელი მარიას მსგავსად ერთდროულად რამოდენიმე ასაკსრულ მამაკაცს უყვარდა, რადგან მიჯნურთა ასეთი სიმრავლე თავად იმ ქალის სურვილი იყო... გართობისა და ხუმრობის მიზნით?! ჩემს მეგობარს კი თავისი საოცარი ნიჭიერებით განსაკუთრებული ადგილი ეკავა სხვებს შორი, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ის „მეკობრე ქალბატონი" სწორედ მას აბაიბურებდა ყველაზე გამორჩეულად, რადგან მისი თავბრუსხვევით ყველაზე მეტ ხალისს იღებდა და უჩნდებოდა კმაყოფილების გრძნობა — ხედავთ, ესეც მე მემორჩილებაო!

რაღაც ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში ჩემს მეგობარს ეგონა, რომ საბოლოოდ დაიმორჩილებდა ქალს და მასთან ყოფნით მიაღწევდა იმ ერთადერთ მიზანს, რასაც ნუთისოფლად „ცხოვრება" ჰქვია და არა „არსებობა", მაგრამ ეს არ მოხდა, ქალი ვიღაც სხვას გაჰყვა და ამბავიც დასრულდა, ლოგიკური „კარმენიზმით" დასრულდა, ანუ ქალმა ნიჭიერების მობეზრების შემდეგ რაღაც სხვა ინტრიგაში მოიძია დროის გახალისების საშუალება.

გავიდა ორი-სამი წელი და ჩემს მეგობარს ამ ხანში საკუთარი პიროვნების დამკვიდრების საშუალება მიეცა. მას ვატყობდი, რომ იმ მაცდური არსებისადმი ნაქონ გრძნობას თავი დააღწია და... რიგით მოკვდავად იქცა, თუმცა ერთ საღამოს სრულიად შემთხვევით მას ის ქალი შემოხვდა გზაში და თავის ბინაში მიიწვია „ჩაიზე" (იხილეთ „ფანტაზია" № 16-ის ნომრის ანეკდოტი). იქ კი ყველაფერი „ჩვეულებრივი" სცენარით მომხდარა, თუ არ ჩავთლივთ იმ „არაჩვეულებრივობას", რომ ქალმა კვლავ მოახერხა ჩემი მეგობრის გაბრიყვება და ამით დაიცხრო მოძალებული პატივმოყვარეობა, ანუ მის დამავიწყებელ მამაკაცს დაუმტკიცა, რომ საკუთრ ნებაზე შეეძლო ეტარებინა იგი როცა მოისურვებდა და როგორც მოისურვებდა.

ჩვენი მიზანი „რომანი" რომ იყოს და არა ფილოსოფია, ამ თბილისური „კასანდრიადის" შესახებ საკმაოდ შთამბეჭდავი ინტრიგის შეთხზვა შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ აქ სხვა სურვილი გვამოძრავებს (რომანი შემდეგისთვის იყოს).

გვსურს გავიაზროთ ის ფაქტი, რაც აბატი პრევოსა და პროსპერ მერიმეს ხსენებულ ნაწარმოებებში მხატვრული თხრობითაა გადმოცემული, ანუ:


მომავალი სერიების სიყვარულის მთავარი გმირი, მომღერალი ხუან რამონი.

შეიძლება თუ არა ქალისა და მამაკაცის ურთიერთმიმზიდავ გრძნობაში აბსოლუტურად გამოირიცხოს თვალთმაქცობა როგორც ერთის, ასევე მეორეს მხრივ? ან ექნება კი ამ გრძნობას ფასი და აზრი, ცდუნება რომ არ ერთოს მასში?

აი, სწორედ ესაა მაღალმხატვრული (მაღალიდეური) და,თუ გნებავთ, პრიმიტიული ნაწარმოების დემონსტრირების მიზანი და დანიშნულება — გართობისა და ცრემლების გარდა, მაყურებელი ამა თუ იმ ცხოვრებისეულ ამბებზე უნდა დააფიქროს ან თუნდაც გაახსენოს მისი ცხოვრების ზოგი რამ ფაქტი.

ამ ეგრეთწოდებულ „საპნის ოპერებს" დღეს მთელი მსოფლიო უყურებს და მისი ქედმაღლური უარყოფა შეუძლებელია, რადგან, ეს უკვე მოდა კი არა, მაყურებელთა აზროვნებაზე ზემოქმედების უნებლიე და მძლავრი საშუალებაა. უკვე გადიარა იმ „შოკმა" სულ პირველმა სერიალებმა რომ წარმოქმნეს — თავისი ჭიმვადობითა და წყალნარევი გრძნობების ნაყვით. „კასანდრას" ახლა უკვე გამოცდილი და მოფიქრალი სერიალისტის თვალით ვუყურებთ, ამიტომაცაა, რომ გარდა იმ ფაქტებისა, თუ ვინ ვის დაეკარგა და როგორ იპოვა, ახლა უკვე ისეთი კითხვებიც გაისმის, სადაც „რატომ" და „რისთვის" უფრო მეტად იჭრება გააზრების პროცესში.

ასეა თუ ის, თქვენს მონა-მორჩილს გარკვეულად აზრის შეცვლა მოუხდა ამა თუ იმ პერსონაჟის მიმართ მით უმეტეს, როცა ფართო მაყურებლისათვის ჯერ უცნობი სერიების შინაარსი გაიგო და ნახა. მოდით შევთანხმდეთ:

ნუ შეხედავთ ადამიანს მხოლოდ ერთი დაპროგრამირებული კუთხით; ეცადეთ კარგში ეძიოთ ცუდი და პირიქით — ცუდში — კარგი, რადგან მხოლოდ კარგი ან მხოლოდ ცუდი პიროვნება (პერსონაჟი) არ არსებობს...

ხუან რამონი კი ღმერთმანი, დიდ თანაგრძნობას დაიმსახურებს მაყურებელთა მხრივ, თუმცა ნაკლიც საკმაოდ გააჩნია.

**P. S.** სხვათა შორის რაღაც 22-30 სერიის შემდეგ ის ლოგინსმიჯაჭვული ლილიაროსა წამოდგება და პირველი, რასაც გააკეთებს, დაფეხმძიმდება; სამწუხაროდ დედამისი უკურნებელი სენის გამო ლოგინს მიეჯაჭვება, ხოლო ალფონსო ბაბუა სიცოცხლეს გამოესალმება. ჰემას უიღბლო სატრფოს რეპუტაცია შეექმნება და, რაც მთავარია, დაიწყება სასამართლო პროცესი, რომელიც შემოდგომის მოსვლამდე ნამდვილად არ მოგაწყენთ. ეს ყველაფერი მოხდება და, გთხოვთ, მზად შეხვდეთ სამაყურებლო განცდებს.

## „ფანტაზიის" ფოტოგალერეა

### კორაიმა ტორესი — რომში



# ტოპ-სამყაროს ფანტაზიორები

(პირველი გვერდიდან)

ყველაზე გრძელი ფეხები აქვს აფრიკელ გოგონა ზვოს, მახაპარას ტომიდან — მისი ქვედა კიდურების სიგრძე 138 სანტიმეტრს შეადგენს, თუმცა ტოპ-სამყაროს ლიდერად მაინც 116 სანტიმეტრიანი ფეხების მქონე ჩეხი ადრიანა შკლენარიკოვა ითვლება, რომელსაც წლიურად ერთი მილიონი დოლარის შემოსავალი აქვს. მას სულ რაღაც ერთი სანტიმეტრით ჩამორჩება ნადია აუერმანი, სამაგიეროდ მისი შემოსავალი 5,5 მილიონ დოლარს აღწევს.

✡ ✡ ✡

დღევანდელი პოდიუმის ერთი შავკანიანი ვარსკვლავი, ეთიოპიელი ვარის დირო, 13 წლის ასაკში მამამ 5 აქლემის საფასურად თავის 60 წლის მეზობელს მიათოხვა.

✡ ✡ ✡

ტოპ-სამყაროში კარგადაა ცნობილი სარა ფერგიუსონის სახელი, რომელიც ერთ დროს თვით დიდი ბრიტანეთის დედოფლის რძალი იყო. ახლა ფერგი (იგივე ჰერცოგინია იორკისა) კვლავ პოდიუმს დაუბრუნდა და ღრმა დეკოლტეს მქონე საღამოს კაბების დემონსტრირებითაა ამჟამად დაკავებული — საინტერესო კი ისაა, რომ იგი იტალიელი მოდელიორის გაი მატიოლოს სტუდიაში მუშაობს, რომლის ხშირი სტუმარი გარკვეული დროის წინ თავად რაისა მაქსიმოვნა გორბაჩოვა გახლდათ.

✡ ✡ ✡

ტოპ-სამყაროზე საუბარი არასრული იქნება, სინდი კროუფორდი რომ არ ვახსენოთ. მისი პირადი ცხოვრება კვლავაც მრავალი მითქმა-მოთქმის საგანია; ამბობენ, რომ იგი მსახიობ ველ კილმერთან განშორების შემდეგ სევდას ნბა-ს ყველაზე ექსტრავაგანტურ კალათბურთელ დენის როდმანთან იქარვებდა. ეს უკანასკნელი ყველასათვის ცნობილია არამხოლოდ კალათში ზუსტი ტყორცნებით, არამედ თმის შეფერილობის ხშირი ცვლით — წითლიდან თეთრზე, შავიდან ცისფერზე, მელნისფერიდან მწვანეზე და კიდევ იმით, რომ თავად მადონას აქტიური ინტიმპარტნიორი გახლდათ. სინდი კი დიდხანს არ დაყოვნდა ამ უცნაურ კაცთან და ახლა უკვე უილიამ ბოლდუინის მკლავებში ამოყო თავი, ალბათ იმ სტიმულით, რომ ეს უკანასკნელი ჰოლივუდის ამომავალი ვარსკვლავია.

✡ ✡ ✡

... კიდევ მრავალი ჭორ-მართალის მოძიება შეიძლება დღევანდელ უცხოურ პრესაში ტოპ-სამყაროს „ფანტაზიორების", მაგრამ ახლა ეს ვიკმაროთ, იმ იმედით, რომ აღნიშნული სამყარო კვლავაც მრავალ სამასლაათო ფაქტებს წარმოაჩენს.



## „რქებიანი" ანეკდოტები

ქმარმა ცოლს მიუსწრო საყვარელთან ერთად ლოგინში მწოლიარეს; მივარდა ცოლის საყვარელს და სტკიცა სილა:

ცოლი: ახია მაგაზე, აქ არ ცხოვრობს და მაინც სულ აქ არის.

მობრუნდა საყვარელი და საპასუხო სილა სტკიცა ქმარს:

ცოლი: ახია მაგაზე, თვითონ არ შეუძლია და სხვასაც არ უშვებს.

☺ ☺ ☺

ქმარი ვადაზე ადრე ბრუნდება მივლინებიდან და სანამ კარს გააღებს ჭუჭრუტანაში იყურება და ხედავს — მისი ცოლი ერთი ბეხლეწის მკლავებში ნებივრობს; უცებ ესმის:

— მითხარი, რას იზამ, ახლა აქ ჩემი ქმარი რომ შემოვიდეს?

— მე იმას ოთხად მოვკეცავ, შევკრავ და ფანჯრიდან გადავაგდებ!

ეს რომ გაიგო, ქმარი კიბეებზე დაეშვა ჩურჩულით:

— ვერ მოგართვი გადაგდება — მე ჯერ მივლინებაში ვარ!

☺ ☺ ☺

ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს:

— რა იყო, რა მოწყენილი ხარ?

— აი, გუშინ ჩემი საყვარელი მოვიდა, ყველაფერი კარგად გააკეთა, მაგრამ მერე ქმარი მოვიდა და თავისებურად ყველაფერი გადააკეთა.

## გასული კროს-დეტექტივის პასუხები

1. პირიმზე; 2. სიმონი; 3. სერია; 4. ბისმუტი; 5. ჩიტირეკია; 6. ჰექტორი; 7. დრამატული; 8. რეჟისორი; 9. მარი; 10. კასანდრა; 11. პრესტო; 12. მონასტერი; 13. მარსელინო; 14. როსაურა; 15. ტოსტაო; 16. რანდუ; 17. ალფონსო; 18. ლილიაროსა; 19. ატლასი; 20. ფიელო; 21. იდიოტი; 22. მატიასი; 23. ერმინია; 24. იენა; 25. მარიანა; 26. სანდინო; 27. ასი; 28. დარინდა; 29. ანდრეინა; 30. იზაურა; 31. სტატისტი; 32. ოდა; 33. ტრინიდადი.

«ფანტაზია», №18(44), 1997

## ნაცნობი ქართველები — ნაცნობ გაზეთში

# 26 მაისის კროსვორდი



# კროსგიგანტის კითხვები

**თარაზულად:** 18. რა დარჩა ლენინის შემდეგ... მიწისქვეშეთში? 19. ქართველი რეჟისორი, ავთანდილი. 20. იგორის მამა. 22. ჯილდოს სახესხვაობა. 23. რა არის კაპრიზი. 24. ტყის სახესხვაობა. 25. სამშობლოს მოყვარული. 26. ქართველთა სახლ-კარის აუცილებელი „საწყობი“. 28. რა არ გამოლევია საქართველოს? 29. როგორი აზროვნება უნდა ჰქონდეს მეცნიერს? 31. ქართული კინოს ია. 32. ქიმიური ცნება.. 33. მიმართვა მღვდელთმსახურისადმი. 37. ალექსანდრე მეტრეველის საყვარელი „ინვენტარი“. 37. რა საკვირველი რამ მოიმოქმედა დავითმა? 39. კინომექანიკოსის კულინარული პროფესია. 40. სოფელი ცხინვალის რაიონში? 41. ვინ არის ბატონი ედუარდი საქართველოსთვის? 43. ვინ არის ბატონი ედუარდი. 44. ცეცხლის თვისება. 45. ბაგეთა შეხება. 47. პრესის რეალიზაციის ერთ-ერთი საშუალება. 49. ინფორმაციის სახესხვაობა. 53. საქართველოს ერთ-ერთი დამპყრობი (სახელი და მეტსახელი ერთად). 56. ბრძოლის შეწყვეტის საშუალება. 57. სადაურია ერთი სიმღერის „დიდგულა“ ქალი? 61. მდინარე საქართველოში. 62. მთიელთა ლექსი. 63. რუისის რელიგიური კოლეგა. 64. წმინდა კომუნისტური სიტყვა. 65. ქართული მითოლოგიის გმირი. 66. საძოვარი. 69. რა არის თბილისში წმინდა? 70. ქართული სარაინდო-საფალავნო ნაწარმოები. 71. ქართული ლიტერატურის მეჩექმე. 72. ვინ იყო დავით კლდიაშვილი რუსის ჯარში? 73. „მცირეს“ სინონიმი. 76. თემურ ბაბლუანის კინოფილმი. 77. როგორი მხარეებია საქართველოს ჩრდილოეთში. 78. როგორი სულისკვეთება უჩნდებათ სამშობლოდან წასულებს? 79. ერთ-ერთი ჩანთოსანი ცხოველი. 80. ქრისტეს სამოსელი. 81. ვენახების ერთობლიობა. (უ). უკეთესი, უმჯობესი ანუ... 83. „ბახტრიონის“ პერსონაჟი. 86. მუსიკალური ინსტრუმენტი. 88. კითხვა-პასუხის სახესხვაობა. 90. ქართული გაზეთი. 91. ქართველ ემიგრანტთა ერთ-ერთი თავშესაფარი. 98. ესპანელი გენია. 99. ქართული გენია. (ს)ჭიაურელი!!! 100. კალანდაძე!!!. 101. სვანური წარმოშობის ქართველი პოეტი. 103. რა არის ლიხი? 105. თამარის ქალიშვილი. 106. რუსეთის სახელაღდგენილი ქალაქი, წინსართვის გარეშე. 108. დროის ზმნიზედა. 109. გამასხარების სახესხვაობა. 112. გრამატიკული სიტყვა-კავშირი. 113. თანაქმედების მანიშნებელი სიტყვა. (მ) ადამიანის ფსიქიკის სრული გათიშვის მდგომარეობა. 115. რა არის „ნივა“? 116. თბილისის გარეუბანი. 117. ევროპული ფოლკლორის მიჯნური. 118. (იხილეთ ფოტო) თეატრალური კოლექტივი, რასთანაც ამ ბატონს უშუალო კავშირი აქვს. 119. სწრაფმავალი ცხენი. 120. საცხენოსნო შეჯიბრი. 121. დიდებული ქართველი ფეხბურთელი. 122. რწყილის საძებარი პროდუქტი. 123. დაახლოებით იგივეა, რაც „მაგნატი“ — ქართულად. 126. ქართველი მწერალი. 130. განმეორების მაჩვენებელი სიტყვა. 133. ყაზახური ლიტერატურის კლასიკოსი. 136. პიროვნება — ჟარგონის ენით? 138. თუთიყუშის სახეობა. 140. მწერების ყუთი. 144. ქართული ოპერის მამა-შვილის გვარი. 145. ნორჩი ტორი. 146. ვისკის დასამზადებელი ნედლეული. 147. ლენინის ნააზრევის საწინააღმდეგო თეორია. 150. ნორჩი ტოტი. 151. პირველი ასოებით შედგენილი სიტყვა. 152. სახის გამომეტყველება. 153. ორსულობის შეწყვეტა. 154. სოფელი მცხეთის რაიონში. 156. ცელქი, ონავარი. 157. ქალაქი ლიტვაში. 158. სოფელი ქარელის რაიონში. 160. ხალხზე მოფიქრალთა (დღედაღამ მოფიქრალთა) გაერთიანება. 161. თბილისელი ბერძენი დირიჟორი. 164. ქართული ანეკდოტების გმირი. 166. ევროპული ფოლკლორის „უფროსი“ პერსონაჟი. 167. ბიოლოგიური მეცნიერება. 172. ანტისტალინელთა ლიდერი. 178. კონცერტის წამყვანი. 179. რომეოსა და ჯულიეტას დაუძინებელი მტერი. 181. საქართველო — ერთ-ერთ ევროპულ ენაზე. 182. ლიტერატურული პერსონაჟის პირველწყარო. 186. გათიბული ბალახი. 187. წესრიგის დამცავი პირი. 188. აზარტული თამაში. 189. კაცი, რომელმაც მოცარტი მოწამლა (ლიტერატურაში). 190. პერსონაჟი ლექსისა „არ დაიდარდო, დედაო!“.

**შვეულად:** 1. ქართული წარჩინებული გვარი. 2. თანაბარზომიერება ცენტრის მიმართ. 3. (იხილეთ ფოტო) ამ ბატონის მშობლიური მხარე. 4. ბაჩი-აჩუკი — იმერეთში. 5. ქართველი პოეტი. 6. ავადმყოფური ანუ... 7. საქართველოს სასაზღვრო მდინარე. 8. თბილისის არაბი მმართველი. 9. კაცი, რომელიც ავტოქარხანაში კი არა, სასადილოში მუშაობდა. 10. (იხილეთ ფოტო) რა ჰქვია? 11. ქართველი მსახიობი მამუკა. 12. გურამ ფანჯიკიძის რომანი. 13. რუსთველისეული ქვეყანა. 14. ესა თუ ის მხარე. 15. ჭრიჭინას სამოღვაწეო ორგანიზაცია. 16. ვინ ცხოვრობდნენ კოლხეთის სანაპიროებზე (ბერძნების თქმით). 17. (იხილეთ ფოტო). 21. მკაცრი გამომეტყველების კაცი. 27. საქართველოს მდინარე. 30. „შემმოწმებელი“ პოლიტიკა. 34. ვინ იყო კუკარაჩა? 35. ინგლისელი მწერალი. 36. ილიას მკვლელი. 39. დედაქალაქი ქვეყნისა, რომელიც ჩვენი ნიკას ყოფითაა დაინტერესებული. 42. განვითარება. 46. გიორგი საჯაძის „პროფესია“. 48. როგორი ეკლესია არსებობს ევროპაში. 50. საზოგადოებრივი წყობის შეცვლის საშუალება. 51. საკომუნიკაციო ორგანო. 52. ცრემლიანი სანახაობა — ძველი ფორმით. 54. დადგენილი ულუფა. 55. ბალახის სახესხვაობა. 56. ქართული ფეხბურთის ლეგენდა. 58. სანიმუშოობის საზომი. 59. ნიკოლოზ შენგელაიას კინოფილმი. 60. თბილისის უბანი. 61. სასვენი ნიშანი. 67. ერთი პლანეტის სახელი ძველქართულად. 68. სხვის ტერიტორიაზე შეჭრა. 74. ქართველი სცენარისტი. 75. გერმანელი მოქალაქე. 79. ქართული სალამურის დიდოსტატი. 82. კინო ნაძვის ხეების დასამზადებელი ნედლეული. 84. გადასახადის სახესხვაობა. 85. კაცთმოძულეობა. 87. იგივეა, რაც აოხრებული. 89. კომუნისტების ინვენტარი. 90. განაპირა დაცვა. 92. ყაზბეგისეული პერსონაჟი. 93. ქართველი „ნოსტრადამუსი“ — ეფრემი. 94. საქართველოს კათედრალური ტაძარი. 95. მთვარის ატრიბუტი. 96. ამირანის ძმა. 97. რა კვდება ბოლოს? 102. გათიშვის პოლიტიკა. 104. ქართული კინოს ღირსეული ესტონელი მსახიობი. 107. ენერგიის მომცემი. 110. ირანის მეფეთა დინასტია. 111. კურორტი საქართველოში. 114. ვინ არის კომპოზიტორი-ზოგადად? 123. მცირე ზომის, უბადრუკი ოთახი. 124. სარკინიგზო მანქანა. 125. როგორი სასამართლო არსებობდა კომუნისტობისას? 127. გენიალური ფლანდრიელი მხატვარი. 128. რკინის ნარჩენი. 129. ცნობილი სოფელი სამეგრელოში. 131. (იხილეთ ფოტო). 132. სამშობლოს მოშორებული. 134. ალყაში მოქცევა. 135. ავტობუსის სახესხვაობა. 137. აზიის მდინარე. 138. ჭადრაკის ქალღმერთი. 139. შვედეთის ფული. 141. მადა — ძველთბილისურად. 142. თანამედროვე რუსი პოლიტიკოსი. 143. ქართული ანეკდოტების გმირი. 148. რაჭული ღვინო. 149. (იხილეთ ფოტო) ამ ბატონის მშობლიური მხარე. 155. ფელინის ფილმი. 159. რუსული პოეზიის გენია. 162. ბრაზილიელი ფეხბურთელი. 163. ინდონეზიური ჯუჯა კამეჩი. 164. ერთწლოვანი ბალახი. 165. მოლიერის კომედიების პერსონაჟი. 168. ჩრდ. კავკასიის ავტონომიური წარმონაქმნი. 169. ჩვენი განედების ხე. 170. კუპრინის მოთხრობა. 171. თეატრალური ნაგებობა. 173. გეომეტრიული სხეული. 174. შავიზღვისპირა კურორტი.. 175. მიმზიდველობა ანუ... 176. (იხილეთ ფოტო) გაიხსენეთ ანსამბლი, სადაც ამ ბატონმა დაიწყო სიმღერა. 177. ქსოვილზე შემოკლებული ზოლი. 180. წონის საზომი ერთეული. 183. სახედრის ასამოძრავებელი სიტყვა. 184. ლავუაზიის კანონის გეომეტრიული ფიგურა. 185. განმეორადობის მანიშნებელი სიტყვა.



სტუდია

## „ვიდეოეკრანი“

VIDEO NEWS

წარმოგიდგენთ

## მომავალი კვირის ვიდეოსიახლეებს




### ГОТТИ

(როლებში — არმან ასანტე, უილიამ ფორსაიტი, ენტონი კუინი)

ჯონ გოტი, რომელიც ნიუ-იორკის მაფიოზურ წრეშია აღზრდილი, თავისი „მოძღვარის“, მისტერ ნილის, მეშვეობით გულმოდგინედ ადის კოზანოსტრას იერარქიულ კიბეზე. მისი ულმობელობა და სიჯიუტე კარლო გამბინოს ყურადღების საგანი ხდება. (გამბინო ერთი დიდი ოჯახის უფროსია). ჯონ გოტის დიდი გზის გავლა უხდება, სანამ ამ უსამართლობის სამყაროს მეფე გახდება.




### КРАЙНЫЕ МЕРЫ

(ჰიუ გრანტი, ჯინ ჰეკმანი)



### ТРИВИАЛЬНОЕ ЧТИВО

### ГИДРОСФЕРА

(ახალი ფანტასტიური ბოევიკი)

2130 წელი. ძალაუფლება დედამიწაზე სამხედრო კონცერნებს შორისაა განაწილებული. კომპანია „პროქსეიტ ინკი“ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანია მათ შორის. და იმისათვის, რომ თავისი ლიდერობა შეინარჩუნოს, კომპანია ცდილობს საიდუმლოდ შეინახოს სასიკვდილო გაზის წარმოების ფაქტი, რაც ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა. კომპანია გადაწყვეტს ეს მომაკვდინებელი ტვირთი ხომალდზე დატვირთოს და მისმა თანაშემწეებმა არაფერი იციან ტვირთის შემადგენლობის შესახებ და ამის შესახებ გვიან გაიგებენ... (როლებში — მალკოლმ მაკდოუელი და მაიკლ პარე).





### РАЗРУШИТЕЛЬНИЦА

(ნიკოლ ეგერტი, რიჩარდ გრიკო). ფანტასტიური „ბოევიკი“




### СТРАТЕГИЯ СТРАХА

(ლათინოამერიკელები) და „მჭრელებს“ (ზანგებს) შორის გამართულ ომში უცნობი პროფესიონალები ერევიან, რათა თავისი ტერორით მთელი ქალაქი დააშინონ და რეალურ ხელისუფლებას დაეუფლონ (ჯეფ სარკმანი).




### БРАТ

(ახალი რუსული ბოევიკი).




### СЮРПРИЗ

(ალა პუგაჩოვას მეგობრებისა და თავად ალას სიურპრიზი მუსიკის მოყვარულთათვის).



### ЗЕРКАЛЬНОЕ ОТРАЖЕНИЕ

(დელია შეპარდი) ეროტიული ისტორია იდუმალების და სიკვდილის შესახებ.

### МАШИНА ВРЕМЕНЫ

(ეროტიკული კომედია)

ეს გახლავთ გამაოგნებელი ისტორია მშვენიერი წყვილისა, რომლებმაც უკითხავად აამუშავეს მოხუცი ბაბუას „დროის მანქანა“. ძნელიც კია იმის წარმოადგენა, თუ სად ხვდებიან ისინი და რას სჩადიან, თუმცა ყოველ დროის განზომილებაში მათ, რა თქმა უნდა, სექსუალური თავგადასავალი ელით.



# საქართველოს პირველი საგაზაფხულო ჩემპიონატი სუპერკროსვორდის შევსებაში 10 ტურად

## გაზეთ „ფანტაზიის“ პრიზზე

## მეათე ტური — 27 მაისი-1 ივნისი 100 სიტყვა



**თარაზულად**: 15. კანის ფესტივალის მცენარე; 16. თბილისელი ხელბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი. 17. აზერბაიჯანული ხალხური ეპოსის გმირი. 18. ურანისა და სარეცხი მანქანის საერთო თანამგზავრი (პირდაპირი და ირიბი გაგებით). 19. ქართული ესტრადის მაია. 20. (კაიფვორდით) „ცეცხლწაკიდებული ტრამვაი“ (ველზე). 21. აშშ-ს შტატის სახელობის 98-ე. 24. მსახიობი, რომელიც „ტანკისტი იყო... ომამდე“ (ფილმში). 25. თარგმნეთ ბერძნულად „კარგად დაფარული“ (... და მზარდი). 26. პლეხანოვური ბალი. 27. ნემეზიდას თეფში. 28. მარტოხელა, უტოტო, ანუ... 29. ნახევრად პარაზიტი მცენარე. 30. მაცხოვართან დაკავშირებული ტოპონიმი. 31. თარგმნეთ „ქვე“ — ლათინურად. 32. იტალიური თოჯინა. 35. დროის ყადრის მცოდნე. 36. რა „მოსძულდა“ ერთხელ ინდოეთის ერთი მეშვიდ-ედის მფლობელს? 37. იაპონური არაყი. 38. დაახლ. იგივეა, რაც „ადვოკატი“ (ძვ.საქართველოში) 40. დედამიწის (ყოფილი) ერთი მეექვსედი. 41. რუსი პარტიზანი ქალი, ფაშისტთაგან დასჯილი. 42. სავარაუდო სიტყვა. 43. კაცი, რომელმაც შეთხზა სიტყვა „ლილიპუტი“. 44. პატივისცემა-მოკრძალების სახესხვაობა. 47. ტარზების და კომუნისტების მსხვერპლის სახელი. 48. ლიტერატურული კაპიტანი. 49. ჯადოქარი... სახელად მარინა. 50. ნოვგოროდული ბილინების გმირი. 51. ფლობერის მოთხრობა. 53. ჯერჯერობით მესამე... 54. ურალური რესპუბლიკის დედაქალაქი. 55. „დალმართზე მავალი“ თბილისელი. 56. ჯერჯერობით მეოთხე... 61. ემანუილ აფხაიძის კინოპროფესია. 62. საკომუნიკაციო სიგნალი. 63. ორმხრივ სასარგებლო, ანუ... (ვთქვათ, კომერცია). 64. თარგმნეთ ფრანგულად — „განაპირა (ან უკანა) დაცვა“. 68. 50-იანი წწ. თბილისის საკალათბურთო გუნდი. 69. ჩვენი ენის კავშირი. 70. რელიგიურ-წარმართული რიტუალი. 71. პაპუასების ბანანი. 72. სახელმწიფოს მმართველი. 73. ქალაქი რუსეთში. (არაკომუნისტური ვარიანტი). 74. ძვ. რუსეთის ეროვნ.-განმანთავ. მოძრაობის გმირი. 75. მოხევის ქალი. 76. თავისი საქმის კარგი მცოდნე. 77. როგორი ხაზები აქვს კავშირგაბმულობის სამინისტროს. 78. კოვბოური ინვესტაცია. 79. ერთ-ერთი რელიგიის „დაბალი ჩინი“.

**შვეულად**: 1. ქართველი პოეტი — ვერლიბრისტი. 2. მეგობარი — ძველთბილისურად. 3. სიძველეთა კოლექციების საცავი. 4. ერთ-ერთი თბილისური საავადმყოფოს „პატრონი“. 5. შავიზღვისპირა დაბა. 6. ქართული თეატრის ჟანრი. 7. ინდუიზმის ღვთაება. 8. შოლოხოვისეული პერსონაჟი ქალი. 9. ერთგვარი ხელოვნური ბოჭკო და ქსოვილი. 10. ცოლქმრული „ინვენტარი“. 11. (კიდევ) რა ფერის შეიძლება იყოს ყანწი? 12. გრძნობა, რომელიც ეგონათ, რომ ჰქონდათ მომიტინგეებს. 13. რა არის პარიზი დედამიწისთვის? 14. თარგმნეთ ლათინურად — „საზრდო, საკვები“. 16. ფრანგთა „ოსკარი“. 22. სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტი. 23. ნაქეზების სპეციალისტი. 25. მეზღაპრე-პოლიტიკოსი. 26. ფრანგული ლიტერატურის იზაბელი. 29. განვლილი ათწლეულის უდიდესი რუსი მძლეოსანი. 30. მიმოზისებრი ხე ან ბუჩქი. 31. ვითომ კარგი და ძვირფასი ვინმე. 32. ჩრდილოირლანდიელი, რომელსაც ძოძუაშვილმა ფეხი არ გაანძრევინა. 33. იეზიდების როკვა. 34. სპეციფიური გერმანული მამაკაცის სახელი. 35. რა ერქმეოდა ბენდერს, ქართველი რომ ყოფილიყო? 36. სპარსულად — ფრონტი, ქართულად — დანჯღრეული. 37. ნატო ვაჩნაძის კინოროლი. 39. მხედარის შარვალი. 44. ჩვენი პრეზიდენტის გერმანელი მეგობარი. 45. „გაბოლების“ საზომი ერთეული. 46. კაპებიანი საკიდარი. 48. აღმოსავლური ზღაპრული ქალი. 50. რა მოიტანა მამამ (ფილმში)? 51. „პეკინის“ ბოლოში არსებული დაწესებულების ხელმძღვანელი. 52. ხმის პათოლოგიური მდგომარეობა. 54.(კაიფვორდით) ბატონი ჩხეიძის და ქალბატონი რეიგანის საყვარელი გაზეთი. 55. ფილიპის გერი. 57. მხოლოდ გარკვეული ადგილისათვის დამახასიათებელი ანუ... 58. ავტორი რომანისა „ქალაქი“. 59. თარაზული № 42-საგან წარმოებული მათემატიკის დარგი. 60. საფაკულტეტო ხელმძღვანელობა. 63. რა შექმნეს ფადეევის ახალგაზრდებმა? 65. (კაიფვორდით) „ღამის ფრინველი მე-2-სა და მე-7-ს შორის“. 66. ებრაელთა ფული. 67. მეფური ინსტრუმენტი 69. სხეულის საყრდენი ნაწილი. 70. (კაიფვორდით) „თანახმა ვარ, (მუსიკოსო) ბიჭო“ (ინგლ. კავშ.). 71. ადგილის ზმნიზედა. 74. ინდოეთის შტატი.

## ჩემპიონატში მონაწილე ლიდერთა შედეგები 8 ტურის შემდეგ

| | VI ტური | VII ტური | VIII ტური | კოეფიციენტი | საპრემიო | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაბრიელიძე | 100 | 98 | 97 | 98.75 | +11 | 109.75 |
| 2. ბუჟღულაშვილი | 97 | 100 | 98 | 98.37 | +11 | 109.37 |
| 3. ვეკუა | 100 | 99 | 96 | 97.86 | +11 | 108.96 |
| 4. ხაჩირაშვილი | 98 | 96 | 98 | 96.91 | +11 | 107.91 |
| 5. ფანჩვიძე | 96 | 96 | 93 | 96.23 | +11 | 107.23 |
| 6. ზურაბიშვილი | 99 | 99 | — | 98.66 | +7 | 105.66 |
| 7. თიკანაშვილი | 97 | 100 | 96 | 97.35 | +8 | 105.35 |
| 8. ნებიერიძე | 99 | 96 | 89 | 96.98 | +8 | 104.98 |
| 9. სალრიშვილი | 93 | 82 | 96 | 94.11 | +10 | 104.11 |
| 10. ბალდავაძე | 95 | 88 | 97 | 94.00 | +10 | 104.00 |
| 11. სესიტაშვილი | — | 97 | 89 | 96.00 | +7 | 103.00 |
| 12. კვირიკაშვილი | 93 | 96 | 78 | 93.74 | +9 | 102.79 |

შემდეგ «ფანტაზიაში» გამოქვეყნდება მომავალი საკროსვორდო ჩემპიონატის წესები და პირობები.

გირჩევთ მონაწილეობა მიიღოთ მეორე (საზაფხულო-საშემოდგომო) ჩემპიონატში

ჩემპიონატის შედეგები შეჯამდება 7 ივნისის ნომერში

X ტურის პასუხები წარმოადგინეთ ა. წ. 1 ივნისის 12 საათამდე. დაგვიანებული პასუხები არ მიიღება.

## მონაწილის სავიზიტო ბარათი

გვარი ______________________

სახელი ______________________

მისამართი ______________________

ტელეფონი ______________________

## საპრემიო კროსვორდი

გთავაზობთ საპრემიო კროსვორდს; აქ სწორად ამოცნობილი ყოველი სიტყვა (ქულა) პირდაპირ დაემატება კოეფიციენტს. ეს არი შანსი კოეფიციენტის გაზრდისა.



1) ავტორი გამონათქვამისა:

„დიდი ნაკლოვანებანი მხოლოდ დიდ ადამიანებს აქვთ“.

2) კაცი, რომელიც უკვდავებას დაეძებდა 3000 წლის წინ.

3) სკანდინავიის ისტორიული რეგიონი.

4) „ნიღბების“ კომედიის პერსონაჟი.

**საპრემიო კროსვორდის შევსება სავალდებულო არ არის**

## მერვე ტურის საჩემპიონატო კროსვორდის პასუხები

1. ალმოდოვარი. 2. ურბანსკი. 3. ჯილდო. 4. ემბარგო. 5. ფარატინა. 6. კოლივანოვი. 7. სიდერაცია. 8. პერიჰელიუმი. 9. ეგზემა. 10. რევანდი. 11. მიომა. 12. ფალავანდიშვილი. 13. ლეგიონერი. 14. ჰამბურგი. 15. ალტრუიზმი. 16. სამორინე. 17. გზები. 18. ალემაო. 19. სობინოვი. 20. ჰოლანდია. 21. ომანიძე. 22. ინესა. 23. მსახიობი. 24. სომსი. 25. აგრიპინა. 26. ალებარდა. 27. ლაინერი. 28. უთო. 29. მარხვა. 30. ხასიათი. 31. კომაროვი. 32. იასი. 33. სკალდი. 34. მანდ. 35. რაია. 36. ფანი. 37. ისტერია. 38. სიგმა. 39. მწიფე. 40. მაქინაცია. 41. ანკილოსტომა. 42. აბრა. 43. სახაშე. 44. ემე. 45. მარჩილი. 46. შაპიტო. 47. ალკკ. 48. სოლუტანი (სხვა ვარიანტებიც ითვლება). 49. სემირამიდა. 50. ერაძე. 51. არჩვაძე. 52. კომბლე. 53. მრია. 54. ადრესატი. 55. ოხრა. 56. ოდესა. 57. კარენინა. 58. აგფა. 59. ჩელსი. 60. კუდა. 61. რიტორიკული. 62. ორნითოლოგია. 63. ჯემა. 64. ბებეტო. 65. ეტაპი. 66. ფრანსი. 67. ორესტეა. 68. რამო. 69. ინჰალაცია. 70. აქატი. 71. არაკჩეევი. 72. ლაქსნესი. 73. თესალია. 74. ევოლუცია. 75. ირიდიუმი. 76. მელოდრამა. 77. დაშანთვა. 78. იაგო. 79. გვარნერი. 80. შარვაძე. 81. გვალვა. 82. პოლიტიპაჟი. 83. იური. 84. ანკარა. 85. სვია. 86. აირენი. 87. სალტიკოვა. 88. ოლივიე. 89. ემალი. 90. კუპაჟი. 91. არსი. 92. ვარიეტე. 93. ეზრა. 94. მალარმე. 95. გრაციანი. 96. ადიუ. 97. დიასამიძე. 98. ტრავოლტა. 99. ნეიმანი. 100. ინრო.

## საპრემიო კროსვორდის პასუხები

1. კლეპტომანია. 2. კომინტერნი. 3. პლეხანოვი. 4. აქ მოხდა დასანანი შეცდომა, ამიტომ ყოველ მონაწილეს ავტომატურად მიენიჭა ქულა. (შეცდომა დაშვებულია ნახაზში). „კუს სახლი“ — „ტორტილა ფლეიტი“, ავტორი — სტაინბეკი.

ი/ს „ფანტაზია“
ისნის რაიონის სასამართლოს მიერ რეგისტრირებული, № 7/1-1811
მისამართი — უზნაძის ქ. №18
„საქწიგნის“ შენობა I სართული
რედაქტორი — ალ. ელერდაშვილი